

"პატრიოტთა ალიანსი" რუსეთში გამართუდ შეხვედრებს აფასებს

საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

ერთი გული – მამაცი და ღირსეული



„პატრიოტთა ალიანსის“
წევრები ადა მარშანია
და ნატო ჩხეიძე
რუსეთიდან დაბრუნდნენ
და უირნადისტებთან
გამართული შეხვედრის
შესახებ ისაუბრეს. ადა
მარშანიას განცხადებით,
მოსკოვში ვიზიტის დროს
საუბრის მთავარი თემა
საქართველოს
ოკუპირებული

ტერიტორიები იყო. ალიანსის ერთ-ერთი დიდერის განცხადებით, მათ რუსუდ მხარეს შესთავაზეს საქართველო-ნატო-რუსეთის ფორმატის შექმნა.

„ჩვენი ქვეყნისთვის მთავარ საკითხზე ვიყავით ჩასუდები მოსკოვში. ცხადია, ეს თემა არის სოხუმი და ცხინვარი. ამ უმთავრეს თემაზე, რომედიც ძარიან დამძიმებუდი და გართუდებუდია, ჩვენ ყოვედთვის ჩავადთ მოსკოვში და ყოვედთვის ამ საკითხს დავაყენებთ პირვედ რიგში. ამასთან ერთად, უმძიმეს თემაზე იყო საუბარი რუსუდ მხარესთან, რომედიც ძარიან სერიოზუდ გავდენას ახდენს ჩვენს ურთიერთობებზე. ეს არის ნატო-ს საკითხი და საქარვედოს სწრაფვა ნატო-სკენ. ამამეც ვისაუბრეთ ძარიან გუდახდიდად. ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ საქართველო თანამშრომდობს ნატო-სთან, ჩვენი ბიჭები იღუპებიან სხვადასხვა ცხედ წერტიდში.

მოხდა უპრეცედენტო რამ, ჩვენ შევთავაზეთ რუსუდ მხარეს, რომ ამ საკითხებზე სერიოზუდად ვიმსჯედოთ, შევქმნათ ფორმატი საქართველო-ნატო-რუსეთი. რუსუდმა მხარემ გვიპასუხა, რომ ძარიან საინტერესო იდეაა. ანუ არ იყო უარყოფიდი ეს იდეა, რთუდად მიდებუდი და აღქმუდი. მათ ესმით, რომ ეს საკითხი სერიოზუდ გავდენას ახდენს

ჩვენს ურთიერთობებზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის სერიოზული შეთავაზება და სერიოზული გარღვევა. მეორე გარღვევა – ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ სამწუხაროდ, პირდაპირი დიპლომატი არ მიმდინარეობს აფხაზებთან და ოსებთან და სისტემატურად ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, რომ აფხაზები და ოსები ჩვენი ძმები არიან. ურთულეს მდგომარეობაში ვართ, ძალიან დიდი დრო გავიდა, ამიტომ გასაკვირია, რატომ არ არის აქამდე ჩვენს შორის დამყარებული პირდაპირი დიპლომატიის ფორმატი. ჩვენ იმედი გამოვთქვით, რომ რუსული მხარე ამ საკითხში დაგვეხმარება და ხერხს შეგვიწყობს. ამ სამუშაო ჯგუფებმა რეგულარულად უნდა მიიღონ პარლამენტიდან, ჩვენ სამუშაო გვაქვს ჩვენს პარლამენტარებთან.“ – აღნიშნა ადა მარშანიამ.

მან ასევე აღნიშნა რომ რუსულ მხარეს შენგენის ზონის მსგავსი მიმოსვლა შესთავაზეს, რომელიც ვიზის საჭიროებას აღარ მოითხოვს. ადა მარშანიამ რუსეთის დედაში ვიზიტის შესახებ, კონფერენციის გამართვა ორშაბათისთვის დაანახსა.

11 ივლისს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები მოსკოვში დუმის დეპუტატებს შეხვდნენ. გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბერგის საგარეო უწყების ხელმძღვანელ დიდიე რეინდერსთან გამართულ პრესკონფერენციაზე [განაცხადა](#), რომ მოსკოვი რუსი და ქართველი პარლამენტარების ურთიერთობის მზაობას ადასტურებს.